

(პროექტი „ჩოლურის ხეობის სვანურის მეტყველების ნიმუშები“)

პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული №134 გრანტის მეშვეობით.

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, მ ე დ ე ა ს ა ლ ი ა ნ ი

**2007 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ
დაფინანსებული საგრანტო თემასთან დაკავშირებით
ჩატარებული წლიური მუშაობის ანგარიში**

„ჯერ კიდევ შეიძლება მივუსწროთ და აღვუხსნოთ ხალხური
სიტყვიერების მასალები, რომლებიც კილოების კუთვნილებას
შეადგენს“ — აკად. ა. შანიძე.

სვანურში, როგორც ცნობილია, ტრადიციულად ოთხ დიალექტს (ბალსზემოურ, ბალსქვემოურ, ლენტეხურ და ლაშხურ) გამოყოფენ. ბალსზემოური და ბალსქვემოური **ზემოსვანური** (ამ ორ ზემოსვანურ დიალექტს ერთმანეთისაგან ყოფს ლატალსა და ბეჩოს შორის მდებარე, ყველასთვის კარგად ცნობილი, ბალის მთა) სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო ლაშხური და ლენტეხური — **ქვემოსვანურისა**. ოთხივე დიალექტი ერთმანეთს უპირისპირდება უმლაუტის, ხმოვანთა სიგრძის, რედუქციის, გრამატიკულ (ბრუნება-ულლების პარადიგმატული სისტემა, სინტაქსი) თუ ლექსიკურ თავისებურებათა არსებობა-არარსებობით.

ბალსზემოური კილო მესტიის რაიონის უმეტეს-ლატალის ტერიტორიაზეა გავრცელებული. იგი ყველაზე უფრო მდიდარია ბგერითი შედგენილობითა¹ და ფონეტიკური პროცესებით, ყველაზე უკეთ აქვს შემონახული არქაიზმები, ჩნდება ნეოლოგიზმები. ბალსზემოურ სვანურში განირჩევა როგორც კილოკავები (უმეტესური, კალურ-იფარული, მულახურ-მესტიური, ლენჯერული, ლატალური), ისე ცალკეული თქმები (მაგალითად, სოფ. მულახის შიგნით — მუჟალისა, ჭოლაშისა, ლახირისა, მურშკელისა, არცხელისა, ღვებრა-ზარდლაშისა და ა.შ.).

ბალსქვემოური კილოც მესტიის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაა სოფელ ბეჩოდან (ლენხერის ჩათვლით) სამეგრელოს საზღვრამდე. სხვა დიალექტებთან შედარებით ბალსქვემოური კიდევ უფრო მეტადაა დიფერენცირებული. ეს კილოკავებია: ბეჩოური, ცხუმარული, ეცერული, ფარული, ჩუბეხური (ნაკრული და ჭუბერული) და ლახამულური. ეს უკანასკნელი საკმაოდ განსხვავებულია ყველა ბალსქვემოური კილოკავისაგან თავისი უმლაუტით, რედუქციით, დელაბიალიზაციით, ნამყოფსრულისა თუ აორისტის წარმოებით, აგრეთვე ლექსიკითაც; რა თქმა უნდა, თქმები ბალსქვემოურ კილოშიც განირჩევა (ვთქვათ, ცხუმარულ კილოკავში — ლაფსყალდისა, მაგარდელისა, ლეზგარისა, ტვიბერისა, სვიფისა და ღვებალდისა; ბეჩოურ კილოკავში — დოლასვიფისა, ჭკიდანარისა, ლანხვარისა, მაზერისა, ქართვანისა, გულისა, უშვანარისა, ბავგდანარისა, ჰებუდისა, ჭოხულდისა, ნაშთქოლისა, ტვებიშისა; ფარულ კილოკავში — ღემდერისა, ხოსრარისა, კაცხისა, ლამხერისა, ზაგარარისა, ლუჰასი და ა. შ.).

ქვემოსვანურ მეტყველებაში გაცილებით ნაკლები სხვაობა შეიმჩნევა სოფლებს შორის, ვიდრე **ზემოსვანურში**. აქ გამოიყოფა ძირითადად ორი დიალექტი — ლაშხური და ლენტეხური.

ლენტეხური კილო ცხენისწყლის ხეობაშია წარმოდგენილი თავისი ოთხი (რცხმელურული, საკუთრივ ლენტეხური, ხოფურული, ხელედური) კილოკავით.

¹ როგორც ცნობილია, ბალსზემოურ დიალექტში გამოიყოფა 18 ხმოვანი, ესენია: ა, ე, ი, ო, უ, გ, ნ, ე, ო, ო, შ, გ, ა, ო, ა, ო, შ.

ლაშხური კილოც ცხენისწყლის ხეობაშია გავრცელებული, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან ძალზე კომპაქტურად განლაგებულ სოფლებს, რაც, რასაკვირველია, განაპირობებს კილოკაურ თავისებურებათა არარსებობასაც. აქედან გამომდინარე, ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება: სასაშის, ჟახუნდერის, ჩიხარემის, ჩუკულის, ახალშენის, შგედის, მელეს, ხერიას, ლაშხარაშის, ლემზაგორის, ლამფალაშისა და მებეცის მეტყველება.

რაც შეეხება **ჩოლურულს**, რომლის ცალკე დიალექტად გამოყოფას ჯერ კიდევ აკადემიკოსი ნიკო მარი უჭერდა მხარს, მეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, გარდამავალი დიალექტია (ქვემოსვანურ დიალექტთა შერწყმის შედეგად მიღებული) ქვემო სვანეთში, რომელიც მოქცეულია ლაშხურსა და ლენტეხურს შორის და ამის გამო ორივეს ძირითად გრამატიკულ მოვლენებს იზიარებს, თუმცა უკანასკნელ ხანს მოპოვებული მასალების მიხედვით შესაძლებელი ხდება ჩოლურულიც ცალკე ერთეულად (და არა ლაშხურ-ლენტეხურ კილოთა გარდამავალ ზონად — შანიძე 1981, 321; თოფურია 1965, 61-67) გამოვყოთ (ონიანი 1998, 7-8). ალექსანდრე ონიანის აზრით, „ჩოლურული ისევე განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან, როგორც თითოეული მათგანი — ერთმანეთისაგან. ეს კი ჩოლურულის დამოუკიდებელ დიალექტად გამოყოფის საფუძველს იძლევა“ (იქვე).

მიუხედავად ალექსანდრე ონიანის ამ მოსაზრებისა, სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე საცილობლადია ქცეული სვანური ენის დიალექტთა რაოდენობის საკითხი. სვანურ დიალექტთა შორის ჩოლურულის ადგილის საბოლოო განსაზღვრისათვის კი აუცილებელია მისი სპეციალური შესწავლა ენათმეცნიერული თვალსაზრისით (1998, 8), **რისთვისაც, რასაკვირველია, უნდა არსებობდეს სტამბურად გამოცემული ჩოლურული პროზაული ტექსტები**².

უნდა ითქვას, რომ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სვანური ენის შემსწავლელი ჯგუფი³ (ე. ვაზდელიანი, რ. ჭკადუა, მ. სალიანი, რ. იოსელიანი, ლ. გიგლემიანი, ნატო შავერშიანი) ამა თუ იმ გრამატიკული საკითხის კვლევისას მხოლოდ ტრადიციულად ცნობილი სვანური დიალექტების მასალის ანალიზით არ შემოიფარგლება, არამედ შეძლებისდაგვარად იყენებს როგორც სათანადო ჩოლურულ მასალას, ასევე ლახამულური კილოკავის მონაცემებსაც, რადგანაც იგივე პრობლემა დგას სვანურში ლახამულური მეტყველების წინაშეც.

უმწერლობო ქართველურ ენათა, კერძოდ კი სვანური მასალების ფიქსირება, როგორც ეს მრავალგზის აღნიშნულა, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა. თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი ინტენსიური კონტაქტები განსაზღვრავენ ნებისმიერი ენის, განსაკუთრებით კი უმწერლობო ენების, სწრაფი ტემპით ცვლას. სწორედ ამიტომ ამგვარი ენების მასალის ფიქსირება არის არა მხოლოდ სადღეისო ამოცანა, არამედ ახლო და შორეული მომავალი თაობებისათვის ზრუნვის გამოვლენაც (ალექსანდრე ონიანი).

ჩოლურულ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობა, როგორც ცნობილია, კომპაქტურად არის განლაგებული ცხენისწყლის ხეობის იმ ნაწილში, რომელიც ლაშხეთსა და ლენტეხს შორის მდებარეობს და გამოყოფა ცამეტი სხვადასხვა სოფლის მეტყველება (ფანაგისა, ლეუშერისა, თეკალისა, ჭველიერისა, საყდრისა, მამისა, უკლემისა, ქუნიშისა, ესიერისა, ბულემისა, დურაშისა, ჭველფისა და ტვიბისა)⁴.

² ერთადერთი რაზედაც ენათმეცნიერებს ხელი მიუწვდებათ, ეს არის ასლან ლიპარტელიანის „სვანურ-ქართული ლექსიკონი“.

³ საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი რომ ჯგუფის წევრთა შემადგენლობა ამომწურავად ასახავს სვანური ენის დიალექტურ შედგენილობას, რაც გვიაღვივებს სვანური ენის გრამატიკაზე მუშაობას.

⁴ ჩოლურის ხეობაში, ამ ცამეტი სოფლის გარდა, არის კიდევ რამდენიმე მიტოვებული სოფელი, ესენია: **ედიცი, ზაგალოდი და შტვილი**. რაც შეეხება სოფ. **უკვლემს**, იქ სოფელში ერთადერთი ადამიანი — ხანშიშესული **ივანე ბაბლუანი** ცხოვრობს, რომელიც ჩვენი მივლინებაში ყოფნის პერიოდში შეუძლოდ გახლდათ და სამწუხაროდ ვერ მოვახერხეთ მისგან ტექსტების ჩაწერა. თუმცა, საბედნიეროდ, სოფ. ტვიბში ვნახეთ უკვლემიდან გათხოვილი ქალბატონი — **გულა ბაბლუანი**, რომელიც აღმოჩნდა სვანური ენის უბადლო მცოდნე და მისგან არაერთი საინტერესო ტექსტი ჩავიწერეთ.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, ჩოლურულს ორ ნაწილად ყოფენ, ერთ მათგანს (**ზემოჩოლურულს**) ლაშხური დიალექტის კუთვნილებად მიიჩნევენ, ხოლო მეორეს (**ქვემოჩოლურულს**) — ლენტეხურისა (შანიძე 1981, 321; თოფურია 1965, 61-67).

აღ. ონიანის აზრით, „ჩოლურულის ეს ნაწილები (ზემოჩოლურული, ქვემოჩოლურული), რომელთა ერთობლიობაც დღემდე ერთი საერთო სახელწოდებით აღინიშნება, ლინგვისტურად ბევრად უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე თითოეული მათგანი — ლაშხურთან ან ლენტეხურთან“ (1998, 8).

რადგანაც სვანურ დიალექტთა შორის ჩოლურულის ადგილი საბოლოოდ განსაზღვრული არ არის, ამიტომ აუცილებლად და ძალზე მნიშვნელოვნად მივიჩნით ჩოლურული ტექსტების ჩაწერა მისი ყველა კილო-კავის მონაცემების გათვალისწინებით, რაც საშუალებას მისცემს სვანური ენის სპეციალისტებს საბოლოოდ დაადგინონ ჩოლურული მეტყველების ადგილი სვანურ დიალექტთა შორის.

ჩოლურის ხეობის სოფლების მცხოვრებთა სტატისტიკა დღევანდელი მონაცემების მიხედვით ასეთ სურათს გვიჩვენებს⁵:

1. ზემო ჩოლური

ქველფი	ფანაგა	ლეუშერი	ქუნიში	შამი	თეკალი	ტვიბი	ქველიერი	უკვლეში	ედიყი	ზაგალოდი
28 კომლი	44 კომლი	38 კომლი	2 კომლი	34 კომლი	31 კომლი	30 კომლი	50 კომლი	1 კომლი	0	0

2. ქვემო ჩოლური

ბულეში	შტვილი	საყდარი	დურაში	მუწდი	ესიერი
6 კომლი	1 კომლი	29 კომლი	27 კომლი	22 კომლი	5 კომლი

2007 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ერთწლიანი პროექტის — „**ჩოლურის ხეობის სვანურის მეტყველების ნიმუშები**“ გეგმის შესაბამისად **პირველ კვარტალში** გათვალისწინებული იყო ექსპედიცია ლენტეხის რაიონის ჩოლურის ხეობის ცამეტვე სოფელში ახალი ტექსტების ჩასაწერად და ჩვენს მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალის გაშიფრვა, რაც განხორციელდა კიდევ, კერძოდ:

1. 2008 წლის 26 მარტიდან 14 აპრილის ჩათვლით მივიღებთ ვიმყოფებოდით ჩოლურის ხეობაში, სადაც მოვიარეთ ზემოთაღნიშნული 13-ივე სოფელი და თანამედროვე ტექნიკის (ვიდეო და აუდიო-აპარატურის) გამოყენებით ჩავიწერეთ ჩოლურული მეტყველების ნიმუშები (სულ 15 საათი).

ინფორმატორებად შევარჩიეთ სხვადასხვა სქესისა და ასაკის ადამიანები, რომელთაგანაც განსაკუთრებული ყურადღება მიიქცეის ასაკოვანმა მოხუცებმა (95 წლის ოსანა ონიანმა-ზურაბიანისამ, 90 წლის გულა ბაბლუანმა, 80 წლის დუჩი ბაბლუანმა, 80 წლის ბორის შავრემიანმა...) და მთქმელთა შორის ასაკით ყველაზე პატარა, 5 წლის, ბაჩანა რატიანის მეტყველებამ (მის მეტყველებას აშკარად ეტყობოდა ლაშხურის გავლენა ლაშხელი დედის წყალობით, რაც, ძირითადად, ინტონაციასა და გრძელი ხმოვნების ხმარებაში გამოიხატებოდა).

ყველაზე უფრო თვალში საცემი ჩოლურულში სწორედ **ინტონაცია** გახლავთ, რომელიც მას სხვა დიალექტებისაგან მკაფიოდ განარჩევს. თვით ჩოლურული კილოკავებიც ინტონაციის მხრივ მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით ეს ეხება **საყდარულ** და **მუწდურ** მეტყველებას.

ჯერ კიდევ 1965 წელს პროფ. ვ. თოფურია საყდარული მეტყველების შესახებ წერდა, რომ „... სოფ. საყდრის მეტყველება გარდამავალი დიალექტის იშვიათ ეგზემპლარს უნდა წარმოადგენდეს“-ო (გვ. 62). საყდრის მეტყველების თავისებურებას თვით ადგილობრივი მცხოვრებლებიც ამჩნევდნენ, რაზეც მეტყველებს სწორედ ვ. თოფურიას მიერ 1962 წელს მასწავლებელ გალაქტიონ ივანეს ძე ლიპარტელიანისაგან საყ-

⁵ მონაცემები მოგვაწოდა ლენტეხის რაიონის გამგებელმა **მურმან მუკბანიანმა**, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვასწენებთ.

დარში ჩაწერილ ერთ-ერთ ტექსტში აღნიშნული ფრაზა: **საყდარი ხალხი ნინ მერმე სახიშ ლი, მერმა სოფელარე ნამსკიდან** — საყდრის ხალხის ენა სხვა („მე-ორ-ე“) სახისაა სხვა („მე-ორ-ე“) სოფლებთან შედარებით.

2. პირველივე კვარტალში დავიწყეთ ჩაწერილი ტექსტების მოსმენა.

მეორე კვარტალის გეგმის შესაბამისად, გავაგრძელებთ და დავასრულეთ ჩაწერილი ტექსტების მოსმენა.

მესამე კვარტალში გათვალისწინებული იყო აღნიშნული ტექსტების თარგმნა ქართულ ენაზე, რაც დროულად შესრულდა.

მეოთხე კვარტალი ითვალისწინებდა ტექსტების — ქართულ-სვანური ვარიანტის შეტანასა და რედაქტირება-კორექტირებას. ეს სამუშაოც დროულად შესრულდა და გამოსაცემად მომზადდა ერთ-ტომეული — **„ჩოლურული პროზაული ტექსტები“**.

ჩვენს მიერ ჩოლურის ხეობაში საველე პირობებში მოპოვებული მასალა (წარმართული თუ ქრისტიანული დღესასწაულები, ღვთისმსახურება, სამართალი — მედიატორობა, ნიშნობა — ქორწინება, მიცვალებულის მოვლისა და მისი დაკრძალვის ადათ-წესები, თემისა და სოფლების ურთიერთმიმართება, საქონლის მოვლა, სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა დარგები, ნადირობის ამბები, ისტორიული ამბები (შიდა საგვარტომო დაპირისპირებანი...), ზღაპრები, ლეგენდა-გადმოცემები და ა. შ.) **მეტად მნიშვნელოვნად გვესახება მეცნიერული თვალსაზრისით, რადგანაც, როგორც უკვე ითქვა, დღემდე არ არსებობდა არც ერთი სტამბურად გამოცემული ჩოლურული პროზაული ტექსტები, რაც ქართველოლოგიის, კერძოდ, ქართველური ენათმეცნიერების, სეროიზულ ხარვეზად იყო მიჩნეული.** ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ პროექტის შესაძლო შედეგი სწორედ ამ ტექსტების ბეჭდურად გამოცემაა. ამგვარი შედეგის პოტენციური მომხმარებლები იქნებიან: სპეციალური განყოფილების სტუდენტები, ქართველი და უცხოელი ქართველოლოგები, აგრეთვე ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა მკვლევრები.

საველე პირობებში ჩვენს მიერ მოპოვებული ჩოლურული მასალა მომავალში შედარებული იქნება როგორც ქვემოსვანურ (**ლაშხურ-ლენტეხურ**), ასევე ზემოსვანურ (**ბალსზემოურ-ბალსქვემოურ**) დიალექტურ მონაცემებთან და მხოლოდ ამის შემდგომ იქნება გამოტანილი საბოლოო დასკვნები.

აღნიშნული პროექტის წარმატებული განხორციელება სათავეს დაუდებს ჩოლურული მეტყველებების ადგილის განსაზღვრას სვანურ დიალექტთა შორის, დასახავს ახალ პერსპექტივებს ქართველოლოგიური კვლევა-ძიების თვალსაზრისით, ასევე ნათელს მოჰფენს ძველი ქართული ენის ისტორიის, გრამატიკისა თუ ლექსიკის არაერთ პრობლემურ საკითხს.

ჩოლურული ტექსტების გაშიფვრის პარალელურად მომზადდა რამდენიმე მოხსენება, რომლებიც წაკითხული იქნა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებზე და დაიბეჭდა ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულებში (იხ. **-ჟაჟა||-ჟაჟა, -ჟაჟა, -ი** (ცა) ნაწილაკიანი მიმართებითი ზმნი-ზედები ჩოლურულში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბ., 2007; **-შაჟა (-შაჟა)** „ვით“ თანდებულის შესახებ სვანურში, იკვ, XXXVI, თბ., 2008; იმერიზმები ეკომიგრანტ სვანთა მეტყველებაში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVII, თბ., 2008; **მანგ||მაგ** „ყველა, ყველაფერი“ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის შესახებ ჩოლურულში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVIII, თბ., 2008). ჩოლურულში, სხვა სვანური დიალექტებისაგან განსხვავებით, შეინიშნება ზემოაღნიშნულ ნაწილაკთა ახლებური და თავისებური წარმოება.

ჩოლურულ მეტყველებაზე დაკვირვება, რასაკვირველია, კვლავაც გრძელდება ჩვენს მიერ მოპოვებული მრავალფეროვანი კილო-კაური მასალების საფუძველზე, რადგანაც სანამ ჩოლურულის ყველა გრამატიკული თავისებურება არ იქნება გამოწვლილვით შესწავლილ-გაანალიზებული, მანამდე მისი ცალკე დიალექტად გამოყოფა, რაღა თქმა უნდა, საფუძველს მოკლებული იქნება.

დასასრულ გვინდა უღრმესი მადლობა მოვახსენოთ ჩოლურის ხეობის მცხოვრებლებს (ლენტეხის რაიონის გამგებელს — **მურმან მუკბანიანს**, თეკალის საშუალო სკოლის დირექტორს — **ბესიკ ონიანს**, ჩვენს მასპინძლებს — **ვიტალი შავრეშიანს**, **ნაილი გასვიანს**, **ნათია ბაბლუანს**, **ჯაჯა** და **გოგი გვიდიანებს**

და ა. შ.) გულთბილი მასპინძლობისთვის და იმ უანგარო დახმარებისთვის, რაც მათ გაგვიწიეს მივლინებაში ყოფნის პერიოდში.

ციტირებული ლიტერატურა

1. **თოფურია** 1965 — ვ. თოფურია, გარდამავალი დიალექტის საკითხისათვის სვანურში კილოების მონაცემთა მიხედვით, თსუ შრომები, 114, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 1965.
2. **ონიანი** 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998.
3. **შანიძე** 1981 — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, თხზულებანი, II, თბილისი, 1981.